4954

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
3 ივნისი
1941 წ.
№ 128 (6133)
ფასი 15 კაპ.

მესამე ხუთწლედის სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) ერთსულოვანი ხელმოწერით დავამტკიცოთ, რომ მზად ვართ ვიბრძოლოთ 1941 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის — კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის!

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ

(მეოთხე წლის გამოშვება)

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მოსახლეობის დანაზოგის მოზიდვის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო რეზერვების გაძლიერებისა და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოშვებულ იქნას მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი (მეოთხე წლის გამოშვება) 9 მილიარდი 500 მილიონი მანეთის რაოდენობით.

2. სესხი გამოშვებულ იქნას 20 წლის ვადით—1941 წლის 1 ნოემბრიდან 1961 წლის 1 ნოემბრამდე, წლიური 4 პროცენტის ანგარიშით.

3. სესხის ობლიგაციები და მათი შემოსავალი, მათ შორის მოგებანი, განთავისუფლებულ იქნას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებითა და გამოსაღებებით დაბეგვრისაგან.

4. დამტკიცდეს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პირობები მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) გამოშვებისა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ი. სტალინი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი

ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 2 ივნისი.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების სესხი

დღეს ჩვენ ვამცნეთ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ.

ახალი სესხი გამოშვებულია 9 მილიარდ 500 მილიონი მანეთის რაოდენობით, 20 წლის ვადით — 1941 წლის 1 ნოემბრიდან 1961 წლის 1 ნოემბრამდე.

ეს სესხიც, მსგავსად წინათ გამოშვებული სესხებისა, გამოშვებულია იმ მიზნით, რომ მოვიზიდოთ მოსახლეობის თავისუფალი სახსრები შესაბ ამა სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული გეგმით გათვალისწინებული სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ვერც ეკონომიურმა კრიზისმა, რომელმაც მოიცვა მთელი კაპიტალისტური სამყარო, ვერც მეორე იმპერიალისტურმა ომმა, რომელშიც ჩაბმული არიან მეტწილ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ხალხები და რომელიც სულ ახლა-ახლა ქვეყნებს ითრევს თავის ორბიტაში, ვერ შეაჩერა და არც შეეძლო შეეჩერებინა ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის განვითარება. საბჭოთა კავშირი ბრძოლი სტალინური საერთაშორისო პოლიტიკის მეოხებით ომის გარეშე იმყოფება და აწარმოებს დიდ კომუნიზმის მშენებლობას. ეს საბჭოთა ხალხის უბედნიერესი მოსაპოვრია.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ხალხთა გენიოსმა ბელადმა, დიდმა სტალინმა დააყენა უმნიშვნელოვანესი ამოცანა — უახლოეს 10-15 წლის განმავლობაში დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურადაც.

ამ დიდი ამოცანის გადასაწყვეტად სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული მიმდინარე 1941 წელს, რომლის გეგმა, დამტკიცებული საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის მიერ, ითვალისწინებს 162 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას, რაც გასული წლისას 17-18 პროცენტით აღემატება.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მიერ. ამ ბიუჯეტში სახელმწიფო სესხს უმნიშვნელო ადგილი როდი უჭირავს, ხოლო 1941 წლის ბიუჯეტში გაწსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ იგი ითვალისწინებს თავდაცვითი ნაწილისებისათვის 70 მილიარდი 9 მილიონი მანეთის დაანგარიშებას, რაც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საერთო მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა.

საბჭოთა სახელმწიფო სესხები უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ მშრომელთა ფართო მასებში. წლითიწლობით განუხრელად იზრდება სესხზე ხელმოწერის თანხა და ხელისმომწერთა რაოდენობა. დამკვიდრდა საუკეთესო ტრადიცია — გადაჭარბებულ იქნას წინა წლის ხელმოწერილი თანხა, რაც იმას ნიშნავს, თუ რა უსაზღვროდ უყვართ მშრომელებს თავიანთი სოციალისტური სამშობლო, თავიანთი ღვიძლი ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მშობლიური ბელადი დიდი სტალინი.

საბჭოთა სესხებს უდიდესი სარგებლობა მოაქვს თვით მშრომელთათვის. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში სახელმწიფომ ობლიგაციების მეშვეობით ბელად 7 მილიარდი 1 მილიონი მანეთი პროცენტებისა და მოგებების სახით, მოგებულ ობლიგაციათა ღირებულების ჩათვლით.

ეჭვი გარეშეა, რომ ახლადგამოშვებული სესხიც საბჭოთა კავშირის მშრომელთა უმხურვალეს მხარდაჭერას ჰპოვებს. მასზე ერთსულოვანი ხელმოწერით ჩვენი ქვეყნის მშრომელნი კვლავ დაამტკიცებენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას პარტიისა და მთავრობისაგან, თავიანთ მისწრაფებაც — კიდევ უფრო გააძლიერონ საბჭოთა კავშირის სამეურნეო, კულტურული და სამხედრო ძლევამოსილება.

საქართველო მთელი რიგი წლების განმავლობაში სახელმწიფო სესხების გავრცელების მხრივ მოწინავეთა რიგებში იდგა, და ეჭვი არ არის, რომ იგი ამ საპატიო ადგილს არც ახლა დასთმობს.

საბჭოთა მთავრობის მიერ გამოშვებული ყველა სესხები ნებაყოფლობითს საფუძველზე ვრცელდება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სესხზე ხელისმოწერა თვითდინებას მივამდოთ. სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ, რათა სესხზე ხელი მოაწეროს ყველა მუშამ, მოსამსახურემ, კოლმეურნემ, ინტელიგენტმა, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელმა.

ეს კი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ფართოდ და კარგად დაყენებულ მასობრივ აგიტაციას. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ მშრომელს გავაცნოთ ახალი სესხის მნიშვნელობა და ამოცანები, მისი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა და უდიდესი სარგებლობა თვით ხელისმომწერთათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ სესხის წარმატება სწყვეტს საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და სხვა ეკონომიკურ ორგანიზაციებში. ამიტომ საჭიროა მეტი ორგანიზებულობა და ენერგია.

ახალი სესხი გამოშვებულია ლოზუნგით — „მივცეთ სოციალისტური სახელმწიფოს სესხად 2-3 კვირის ხელფასი", ამავე დროს ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ მოწინავე მუშებს, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების ინიციატივას, რომელნიც სურვილს გამოთქვამენ ხელი მოაწერონ მეტ თანხაზე.

ახალ სესხზე აქტიური ხელმოწერით ეუფიენით მთელ მსოფლიოს ჩვენი ერთსულოვანი ნებისყოფა, სიყვარული და ერთგულება სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი.**

ხელი მოვაწეროთ მესამე ხუთწლედის სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება)!

დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1941 წლის 2 ივნისს

პირობები მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის გამოშვებისა

(მეოთხე წლის გამოშვება)

1. მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი (მეოთხე წლის გამოშვება) შესდგება ორი გამოშვებისაგან: წაუგებელისა და პროცენტიანისაგან.

წაუგებელი გამოშვების ობლიგაციების მთელი შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით, ხოლო პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციებისა — პროცენტების სახით, კუპონების მიხედვით.

2. სესხის თვითეული გამოშვება იყოფა თანრიგებად — ას-ასი მილიონი მანეთი თანრიგში.

თვითეული თანრიგი შესდგება 20 ათასი სერიისაგან. წაუგებელი გამოშვების თვითეული თანრიგის სერიებს აქვთ ნომრები № 100.001-დან № 120.000-მდე, ხოლო პროცენტიანი გამოშვებისას — № 180.001-დან № 200.000-მდე.

თვითეულ სერიაში ობლიგაციებს აქვთ ნომრები № 1-დან № 50-მდე.

3. მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი (მეოთხე წლის გამოშვება) გამოდის წაუგებელი გამოშვების 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულების ობლიგაციებად და პროცენტიანი გამოშვების 500, 200, 100 და 25 მანეთის ღირებულების ობლიგაციებად.

500 და 200 მანეთის ღირებულების ობლიგაციები შესდგება შესაბამისად ერთი სერიის ხუთი ან ორი ასმანეთიანი ობლიგაციისაგან ხუთი ან ორი ნომრით და უფლებას იძლევა:

ა) წაუგებელი გამოშვებისა — ხუთ ან ორ მოგებაზე, რომლებიც ერთისა და იმავე დროს ხვდება ობლიგაციაზე აღნიშნულ თვითეულ ნომერს;

ბ) პროცენტიანი გამოშვებისა — პროცენტულ შემოსავალზე ობლიგაციის მთელი ნომინალური ღირებულებიდან.

50, 25 და 10 მანეთის ღირებულების ობლიგაციები წარმოადგენენ ასმანეთიანი ობლიგაციების ნაწილებს და უფლებას იძლევიან ასმანეთიანი ობლიგაციის კუთვნილი მოგების ან პროცენტული შემოსავლის შესაბამის წილზე (1/2, 1/4, 1/10).

შენიშვნა: 25 და 10 მანეთის ღირებულების ობლიგაციები განკუთვნილია ხელმოწერლებთან ანგარიშის გასასწორებლად მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ხელმოწერის თანხის მიხედვით არ შეიძლება გაიცეს უფრო დიდი ღირებულების ობლიგაციები.

4. სესხის წაუგებელი გამოშვების მოგებანი წესდება 3.000, 1.000, 500, 200 და 150 მანეთის რაოდენობით 100-მანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების (ასი მანეთი) ჩათვლით.

სესხის ოცი წლის ვადის განმავლობაში მოიგებს წაუგებელი გამოშვების ყოველი ობლიგაცია.

ობლიგაცია, რომელსაც მოგება ჰხვდა, იფარება და შემდგომი ტირაჟებიდან გამოირიცხება.

5. სესხის ოცი წლის ვადის განმავლობაში წაუგებელ გამოშვებაზე შესდგება მოგებათა 60 ტირაჟი.

მოგებათა ტირაჟები შესდგება, 1942 წლიდან დაწყებული, ოთხოთხი ტირაჟი ყოველწლიურად იმ ვადებში, რომლებსაც დააწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

6. მოგებათა თვითეულ ტირაჟში წაუგებელი გამოშვების თვითეულ თანრიგზე, ე. ი. სესხის ამ გამოშვების თვითეულ 100 მილიონ მანეთზე გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

წელი	რომელ ტირაჟებში	3.000 მანეთიან მოგებათა რაოდენობა	1.000 მანეთიან მოგებათა რაოდენობა	500 მანეთიან მოგებათა რაოდენობა	200 მანეთიან მოგებათა რაოდენობა	150 მანეთიან მოგებათა რაოდენობა	მოგებათა სულ-თანრიგზე თვითეული ტირაჟიდან	მოგებათა სულ-თანრიგზე ერთ ტირაჟში (მანეთობით)
1 წელი	1—4 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	50	1.000	10.944	12.000	1.874.600
2 წელი	5—8 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	50	1.000	10.944	12.000	1.874.600
3 წელი	9—12 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	50	1.200	7.944	9.200	1.464.600
4 წელი	13—16 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	50	1.200	7.944	9.200	1.464.600
5 წელი	17—20 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	50	1.200	7.944	9.200	1.464.600
6 წელი	21—24 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
7 წელი	25—28 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
8 წელი	29—32 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
9 წელი	33—36 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
10 წელი	37—40 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
11 წელი	41—44 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
12 წელი	45—48 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
13 წელი	49—52 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
14 წელი	53—56 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
15 წელი	57—60 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
16 წელი	61—64 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	100	1.400	11.044	12.800	2.059.600
17 წელი	65—68 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	150	1.600	15.594	17.350	2.742.100
18 წელი	69—72 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	150	1.600	21.494	23.250	3.627.100
19 წელი	73—76 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	150	1.600	31.294	33.050	5.097.100
20 წელი	77—80 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში	1	5	150	1.600	37.194	38.950	5.982.100
	სულ ყველა 80 ტირაჟში სესხის წაუგებელი გამოშვების თვითეულ 100 მილიონ მანეთზე გათამაშდება	80	400	8.000	110.400	881.120	1.000.000	158.888.000

7. ის ობლიგაციები, რომლებსაც მოგება ხვდათ, გასანაღდებლად შეიძლება წარდგენილ იქნას 1962 წლის 1 ნოემბრამდე.

ამ ვადის გასვლის შემდეგ ობლიგაციები, რომლებიც გასანაღდებლად არა ყოფილა წარდგენილი, ძალას ჰკარგავს და განაღდებული აღარ იქნება.

8. სესხის პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციათა შემოსავალი განაღდდება კუპონებად წელიწადში ერთხელ 4 პროცენტის რაოდენობით. კუპონების განაღდების ვადები დგება თვითეული წლის 1 ნოემბერს, დაწყებული 1942 წლის 1 ნოემბრიდან.

9. პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციების გამოსყიდვა. ხდება 1957 წლის 1 ნოემბრიდან ხუთი წლის განმავლობაში (1957, 1958, 1959, 1960 და 1961 წლებში) თანაბარი ნაწილებით ყოველწლიურად.

1957-1960 წლებში გამოსასყიდი ობლიგაციები განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით. დაფარვის ტირაჟთა ჩატარების ვადებს აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ობლიგაციების მქონეთ გამოსყიდვის დროს ობლიგაციების ნომინალური ღირებულება მიეცემათ, დაწყებული იმ წლის 1 ნოემბრიდან, რომელშიაც ტირაჟი მოხდა.

ის ობლიგაციები, რომლებიც დაფარვის ტირაჟებში არ გასულა, გამოისყიდება 1961 წლის 1 ნოემბრიდან.

10. დაფარვის ტირაჟებში გასულ ობლიგაციებზე კუპონები განაღდდება იმ წლის 1 ნოემბრის ვადის კუპონების ჩათვლით, რომელშიც ტირაჟი მოხდა. შემდგომი ვადების კუპონები არ განაღდდება.

11. პროცენტიანი გამოშვების გამოსასყიდი ობლიგაციები, აგრეთვე კუპონები, რომელთა განაღდების ვადა დადგა, შეიძლება წარდგენილ იქნას განაღდებლად 1962 წლის 1 ნოემბრამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ის ობლიგაციები და კუპონები, რომლებიც განაღდებლად წარდგენილი არა ყოფილა, ძალას ჰკარგავს და განაღდებული არ იქნება.

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი

ა. ზვერევი

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲜᲔᲑᲘ

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები თვითონის დაგვენილების შესაბ ამ სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის სესხის გამოშვების შესახებ.

აღფრთოვანებითა და ენტუზიაზმით ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები პირველ, მეორე და მესამე საწარმოო კორპუსებში, საგამომშვრელო საამქროში და მთავარი მექანიკოსის განყოფილებაში.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მოწინავე სტახანოველები.

მიტინგების შემდეგ დაწყებულ იქნა სესხზე ხელმოწერა. ერთი საათის განმავლობაში სესხზე ხელმოწერის თანხამ 100.000 მანეთს გადააჭარბა.

მესამე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვება) სახელმწიფო სესხზე ხელმოწერის ჩაბარების შესახებ

პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დადგენილებით გამოშვებულია მესამე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვება) სახელმწიფო სესხი.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს ფართოდ განუმარტონ მუშებსა და მოსამსახურეებს, ყველა მშრომელს, რომ მესამე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვება) სახელმწიფო სესხისაგან შემოსული სახსრები, ისე როგორც წინანდელი სესხებისაგან შემოსული სახსრები, მთლიანად და სავსებით იქნება გამოყენებული სოციალისტური საწარმო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა აგრეთვე უნდა განუმარტონ მუშებს, მოსამსახურეებსა და ყველა მშრომელს, რომ სახელმწიფო სესხები ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენენ მათი დანაზოგების შენახვის ყველაზე საიმედო საშუალებას, რომ ამ სესხებს არა მარტო უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სოციალისტური სახელმწიფოს სახალხო მეურნეობისათვის, არამედ პირადად ხელმომწერელებსაც ცოტა შემოსავალს როდი აძლევენ ობლიგაციათა მოგებისა და პროცენტების სახით.

საჭიროა ურჩიოთ მუშებს, მუშა-ქალებს, ინჟინერებს, ტექნიკოსებს, მეცნიერ მუშაკებს, ექიმებს, მასწავლებლებს, ხელოვნების მუშაკებს, მოსამსახურეებს ხელი მოაწერონ მესამე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვება) სახელმწიფო სესხზე, როგორც წინა წლებში. ამით სახელმოთა კავშირის მშრომელი მასები კვლავ ცხადჰყოფენ თავიანთ სოციალისტურ ორგანიზებულობას, მზადყოფნას — თავიანთი შრომითი დანაზოგებით მონაწილეობა მიიღონ დიადი სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, ცხადჰყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ლენინ-სტალინის საქმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი.

სოციალიზმის სამშობლოს შემდგომი ძლიერებისათვის

გუშინ თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის საამქროებში რაღიოთი მოისმინეს მთავრობის დადგენილება მესამე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ.

საღამოს შესვენებისას, 8 საათსა და 30 წუთზე, ქარხნის ყველა საამქროში ჩატარდა სახელდახელო მიტინგები.

აბრუნობი საამქროს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგზე ახალი სესხის მიღებულობაზე ინფორმაციით გამოვიდა საამქროს პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ყაზაზიშვილი.

ტრიბუნაზე ავიდა აბრუნობი საამქროს მოწინავე სტახანოველი ამხ. ზუბიეევი.

— საბჭოთა სესხები სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას ხმარდება. მივესალმები ახალი სესხის გამოშვებას და ხელს ვაწერ ერთი თვის ხელფასზე 1000 მანეთის რაოდენობით.

ინჟინერმა ამხ. ბეგალიშვილმა განაცხადა: დარწმუნებული ვარ, რომ ახალი სესხის გამოშვებას ყველა პატიოსანი მშრომელი სიხარულით შეხვდება, რადგან ეს სესხი ჩვენი კეთილდღეობის გაუმჯობესებებს, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებას ხმარდება.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს სტახანოველებმა ხარატმა ამხ. ტუზოვმა და ზეინაკლმა ამხ. ოსიპოვმა.

დიდი ერთსულოვნებით ჩატარდა მიტინგი აგრეთვე საკვებე საამქროში. კომპლექტური ბრიგადის უფროსებმა ამხ. სელიხოვმა და ფილიმონოვმა, აგრეთვე ამხ. ბარბაქაძემ, ბერიაშვილმა, პეტროვმა, გამოთქვეს რა გულწრფელი სიხარული ახალი სესხის გამოშვების გამო, სესხზე ხელი მოაწერეს თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო ახალ სესხზე ხელის მოწერა. 3 საათში სესხზე ხელმოწერილი თანხის რაოდენობამ 116000 მანეთის მიაღწია. ხელის მოწერა წარმატებით მიმდინარეობს.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ (ტელეფონით „კომუნისტის" კორ.). ქიათურელი მაღაროელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ.

ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა მიტინგზე, რომელსაც 400 კაცი დაესწრო, ინფორმაციით გამოვიდა მაღაროს პარტბიუროს მდივანი ამხ. ალ. ლაბუჩიძე.

სტახანოველმა მბურდავმა ამხ. გ. კაპანაძემ სთქვა: ვიცი, რომ ეს სესხი ჩვენს კეთილდღეობას ხმარდება. ამიტომ მივესალმები მის გამოშვებას და ხელს ვაწერ 1.800 მანეთის სესხზე. სტახანოველმა ამხ. წიგნაძემ ხელი მოაწერა 1.500 მანეთის სესხზე, სტახანოველმა ამხ. ვ. სადუნიშვილმა 1.700 მანეთისაზე და სხვ.

მიტინგები დიდი ერთსულოვნებით ჩატარდა ყველა ქარხანა-მაღაროში.

სესხზე ხელისმოწერა წარმატებით მიმდინარეობს.

ლ. ლოლაძე

ᲝᲠᲓᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲬᲔᲠᲔᲜ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲔᲡᲮᲖᲔ

მაღალი პოლიტიკური შეგნებით და ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდნენ ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს მშრომელები გუშინ სალამოს რადიოთი გადმოცემულ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას მესამე სტალინური ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვება) სესხის გამოშვების შესახებ.

როგორც კი დამთავრდა მთავრობის დადგენილების ტრანსლაცია მოსკოვიდან, ფაბრიკებსა, ქარხნებსა, მაღაროებსა და შახტებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში შესდგა მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგები.

ცნობამ ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეთა, მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკოს მეშუბათა მაღალი პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. გუშინ საღამოსვე რესპუბლიკის საწარმოებსა, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში დაიწყო ახალ სესხზე ხელის მოწერა და იგი ორგანიზებულად ჩატარდა.

მარტო კ. თბილისში ღამის 12 საათისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 18.481 მუშა-მოსამსახურეს 7.311.590 მანეთის რაოდენობით.

დამახასიათებელია, რომ გასულ წელს მესამე ხუთწლედის მესამე წლის სესხის რეალიზაციის პირველ დღეს სესხზე ხელმოწერილი თანხა შეადგენდა 2.600.000 მანეთს.

საწარმოებისა და დაწესებულებების ბევრი მოწინავე მუშაკი ახალ სესხზე ხელს აწერს თვიური ხელფასისა და საშუალო თვიური გამომუშავების რაოდენობით.

სესხზე ხელის მოწერა წარმატებით გრძელდება.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთა საქართველოს მშრომელები მიესალმებიან ახალი სესხის გამოშვებას

26 კომისრის სახელობის ქარხანაში

გუშინ თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მეორე ცვლის მუშები შესვენების დროს შეიკრიბნენ სახელდახელო მიტინგზე. მიტინგს 60-ზე მეტი კაცი დაესწრო.

მთავრობის დადგენილება მესამე ხუთწლეულის მეოთხე წლის სესხის გამოშვების შესახებ მიტინგს გააცნო ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. შაკალაძემ. სიტყვით გამოვიდა ამხ. ბ. გრიგორიევი, ს. ჯოხოწელაძე და სხვ.

მიტინგის დამთავრების შემდეგ სწრაფად გაიშალა სესხზე ხელის მოწერა. მექანიკურ საამქროში ნახევარ საათში სესხზე ხელი მოაწერა 44 კაცმა.

მექანიკური საამქროს ორდენანსამა სტანანოველმა ამხ. მ. აკოფოვმა ხელი მოაწერა 1200 მანეთის სესხზე, ხოლო ორდენანსამა ოსტატმა ა. ზაკამოლდინმა 865 მანეთისაზე.

სულ ამ საღამოს სესხზე ხელი მოაწერა 63 კაცმა. ხელმოწერის თანხა უდრის 26.590 მანეთს. ხელმოწერა გრძელდება.

ერთსულოვანი მოწონებით

ახალი სესხის გამოშვების თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მეორე ცვლის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი, რომელიც 3 დღეს გაგრძელდა.

შესვენებისას ფაბრიკის ეზოში შესდგა ცვლის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი, რომელიც გახსნა ფაბკომის თავმჯდომარემ ამხ. ოლია პატარაიამ.

მიტინგის ჩატარებისთანავე დაიწყო სესხზე ხელმოწერა.

საღამოს 9 საათისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 500-ზე მეტ კაცს. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

თბილისის საორთქლმავალო დეპოში

მთავრობის დადგენილებამ ახალი სესხის გამოშვების შესახებ თბილისის საორთქლმავალო დეპოში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. სახელდახელო მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ლუნინელი ძმანაქარა მორიზოვი, სტახანოველი ზეინკალი ბერიაშვილი, ინჟინერი დამპრავა, კომკავშორელი ჩინჩალაძე, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ მესამე ხუთწლედის მეოთხე წლის სესხის გამოშვებას.

აღფრთოვანებით აწერენ ხელს

გუშინ, 2 ივნისს, როგორც კი რადიომ გადმოსცა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება მესამე სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ, თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის ყველა სამკერვალი ერთსა და იმავე დროს ჩატარდა სახელდახელო მიტინგები.

ფაბრიკის მეორე ცვლის ყველა მუშა-მოსამსახურე უდიდესი პატრიოტული გრძნობით შეხვდა ცნობას ახალი სესხის გამოშვების შესახებ.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ფაბრიკის საუკეთესო ადამიანები—სტახანოველები, ოსტატები, სამკერვალ უფროსები და სხვ., რომლებიც, გამოხატავდნენ რა უსაზღვრო ერთგულებას ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი, სიხარულით აძლევდნენ სესხად სახელმწიფოს თავიანთი ერთი თვის საშუალო ხელფასს.

მიტინგების დამთავრების შემდეგ ერთსულოვნად დაიწყო ახალ სესხზე ხელის მოწერა. ღამის 11 საათისათვის სესხზე ხელი მოაწერა 334 კაცმა 80.500 მანეთის რაოდენობით. ხელის მოწერა გრძელდება.

თითო თვის ხელფასი

ფალენჯიხა, 2 ივნისი (ტელეფონით). რაიონის მუშა-მოსამსახურეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებას. საღამოთ დაიწყო მუშა-მოსამსახურეთა მიტინგები. მშრომელთა უმეტესმა ნაწილმა სესხზე ხელი მოაწერა თითო თვის ხელფასის რაოდენობით, ღამის 11 საათისათვის 716 კაცს ხელი მოწერილი ჰქონდა 225.000 მანეთის სესხზე.

ხელის მოწერა გრძელდება.

ბ. მიქავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა გეროთანაბებული მიტინგი, მიძღვნილი მესამე სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის გამოშვების სახელმწიფო სესხისადმი, ამხ. ალდელაკის შესავალი სიტყვით გაიხსნა. უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. დ. ყიფშიძემ მიტინგს გააცნო მთავრობის დადგენილება სესხის გამოშვების შესახებ.

— ახლახან გადაბარგება რადიომ სსრკ მთავრობის დადგენილება შესახებ ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. ამ დადგენილებას ხელს აწერს დიდი სტალინი.

დარბაზში გაისმა მხურვალე ტაში, რომელიც მქუხარე ოვაციად გადაიქცა. ამხ. დ. ყიფშიძე დაწერილებით შეჩერდა საბჭოთა სესხების ისტორიაზე და მის მნიშვნელობაზე სოციალიზმის შენებლობის საქმეში.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო სესხზე ხელის მოწერა. ს

პარტიული ცხოვრება

გადაჭრით გავაუმჯობესოთ პარტიული მუშაობა

ახალი პარტბიუროს პირველი ნაბიჯები

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). ბათუმის საგაზონო დეპოს პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრებამ პარტბიუროს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშობა არადამაკმაყოფილებად ჩასთვალა. კრებამ პარტბიუროს ახალ შემადგენლობას დაავალა გაამდიეროს ბრძოლა სკკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად - საკავშირო კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. კომუნისტებმა პარტბიუროსადან მოითხოვეს პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის შეთავსება სამეურნეო საქმიანობასთან. ისინი მოითხოვდნენ, რომ პარტბიურომ გააუმჯობესოს სტახანოვური მოძრაობის ხელმძღვანელობა, ყურადღების ცენტრში დააყენოს პარტიული პროპაგანდისა და საგაზეთო მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და სხვ.

საანგარიში - საარჩევნო კრების შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა. პარტბიუროს ახალმა შემადგენლობამ (მდივანი — ამხ. ნიკ. ელისტრატოვი) ცოტა მუშობა როდი ჩაატარა კომუნისტთა წინადადებების განსახორციელებლად. საკითხი, რომელიც არჩევნების შემდეგ პირველად ორგანზოგიის პარტბიუროს მსჯელობის საგნად გახდა, ეს იყო საწარმოო გეგმების შესრულების მიმდინარეობა. პარტბიურომ გამოარკვია, რომ ზოგიერთ საამქროში არ სრულდება ყოველდღიური გეგმები. მიღებული ზომების შედეგად მოწესრიგებულ იქნა შესაკეთებელი ვაგონების საამქროში შეუფერხებლად მიწოდება, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, რემონტის ხარისხის გაუმჯობესებას. დეპომ ვადამდე შესრულა საბარგო ვაგონების საშუალო შეკეთების მიმდინარე თვის გეგმა და არც სხვა სახის საშუშოთა შესრულებაში აქვს ჩამორჩენა.

პარტბიუროომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ლენინის მეთოდით მუშობის დანერგვას. აუხსნელი საკლასო ვაგონების შემკეთებელ საამქროში მატარებლის ოსტატები ამყოფად ლენინის მეთოდით მუშობენ. ამის გამო ამ საამქროდან 4 ზეინკალი, რომლებიც წინათ წერილმან რემონტს ასრულებდნენ, გადაყვანილია სხვა საამქროში. ლენინელთა ინიციატივის ფართოდ გამოუხმაურა დეპოს ყოველდღიური კედლის გაზეთი „ჯანსაღი ვაგონი“, გაზეთი სისტემატურად აშუქებს მოწინავეთა გამოცდილებას, იგი სათავეში ჩაუდგა ალეფენ ვალდებულებათა შესრულების საქმეს.

ამ დღეებში პარტიულმა კრებამ განიხილა საკითხი ლენინის მეთოდის დანერგვისათვის ჩატარებული მუშობის შესახებ და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი. კომუნისტებმა ამხ. პ. პიტლიკიმ და ვ. გორდიენკომ, რომლებიც ბათუმფოთის შემადგენლობაზე მატარებლის ოსტატებად მუშობენ, იკისრეს ვალდებულება თვითონვე ჩაატარონ ლენინური მეთოდით ყველა სახის წვრილმანი რემონტი. ამ ვალდებულებას ისინი წარმატებით ასრულებენ.

ერთგვარი მიღწევები მოპოვებულია აგრეთვე მოწყობილობის, ყოველკვარი ქონებისა და მასალების ალრიცხვის სწორად დაყენებაში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ამ მხრივ ამ ყველაფერი რიგზე იყოს. პარტბიუროომ დიდი მუშობა უნდა ჩაატაროს კომუნისტთა წინადადებების საფუძველზე საწარმოში ფასეულობათა ზუსტად ალრიცხვისა და საამქროებში სისუფთავის და წესრიგის დამყარებისათვის. ჯერ კიდევ არ არის დანერგილი რიტმიული მუშობა ცალკეულ საამქროებში, კვლავ ადგილი აქვს იერიშობანას.

ამავე დროს პარტბიუროს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ მან დღემდე ვერ დაუთმო სერიოზული ყურადღება პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშობის გაუმჯობესებას. საჭიროა აგრეთვე მეტი მუშობა პარტიული პროპაგანდისა და საგაზეთო მუშობის შემდგომი აღმავლობისათვის, რაც ჯერჯერობით არ სჩანს.

საგაზეთო დეპოს პარტბიუროომ გადაჭრით უნდა გაამეიერის მუშობა საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე მიღებულ ღონისძიებათა შესრულებისათვის.

კ. ჯ. ოგბოლრჯგინიძე

გაიზარდა კომუნისტების აუანგაარღული როლი

აბაშა („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში ჩატარდა სუფეთის სარეწაო არტელებთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელსაც ყველა კომუნისტი დასწრო. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტბიუროს მდივანი ამხ. შ. კაჭარავა.

მოსმენილი მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 6 კაცმა. აღინიშნა, რომ სკკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, კომუნისტებმა პარტბიუროსადან მოითხოვეს პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის შეთავსება სამეურნეო საქმიანობასთან. ისინი მოითხოვდნენ, რომ პარტბიურომ გააუმჯობესოს სტახანოვური მოძრაობის ხელმძღვანელობა, ყურადღების ცენტრში დააყენოს პარტიული პროპაგანდისა და საგაზეთო მუშობის გაუმჯობესების საკითხი და სხვ.

საანგარიში - საარჩევნო კრების შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა. პარტბიუროს ახალმა შემადგენლობამ (მდივანი — ამხ. ნიკ. ელისტრატოვი) ცოტა მუშობა როდი ჩაატარა კომუნისტთა წინადადებების განსახორციელებლად. საკითხი, რომელიც არჩევნების შემდეგ პირველად ორგანზოგიის პარტბიუროს მსჯელობის საგნად გახდა, ეს იყო საწარმოო გეგმების შესრულების მიმდინარეობა. პარტბიურომ გამოარკვია, რომ ზოგიერთ საამქროში არ სრულდება ყოველდღიური გეგმები. მიღებული ზომების შედეგად მოწესრიგებულ იქნა შესაკეთებელი ვაგონების საამქროში შეუფერხებლად მიწოდება, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, რემონტის ხარისხის გაუმჯობესებას. დეპომ ვადამდე შესრულა საბარგო ვაგონების საშუალო შეკეთების მიმდინარე თვის გეგმა და არც სხვა სახის საშუშოთა შესრულებაში აქვს ჩამორჩენა.

პარტბიუროომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ლენინის მეთოდით მუშობის დანერგვას. აუხსნელი საკლასო ვაგონების შემკეთებელ საამქროში მატარებლის ოსტატები ამყოფად ლენინის მეთოდით მუშობენ. ამის გამო ამ საამქროდან 4 ზეინკალი, რომლებიც წინათ წერილმან რემონტს ასრულებდნენ, გადაყვანილია სხვა საამქროში. ლენინელთა ინიციატივის ფართოდ გამოუხმაურა დეპოს ყოველდღიური კედლის გაზეთი „ჯანსაღი ვაგონი“, გაზეთი სისტემატურად აშუქებს მოწინავეთა გამოცდილებას, იგი სათავეში ჩაუდგა ალეფენ ვალდებულებათა შესრულების საქმეს.

ამ დღეებში პარტიულმა კრებამ განიხილა საკითხი ლენინის მეთოდის დანერგვისათვის ჩატარებული მუშობის შესახებ და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი. კომუნისტებმა ამხ. პ. პიტლიკიმ და ვ. გორდიენკომ, რომლებიც ბათუმფოთის შემადგენლობაზე მატარებლის ოსტატებად მუშობენ, იკისრეს ვალდებულება თვითონვე ჩაატარონ ლენინური მეთოდით ყველა სახის წვრილმანი რემონტი. ამ ვალდებულებას ისინი წარმატებით ასრულებენ.

ერთგვარი მიღწევები მოპოვებულია აგრეთვე მოწყობილობის, ყოველკვარი ქონებისა და მასალების ალრიცხვის სწორად დაყენებაში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ამ მხრივ ამ ყველაფერი რიგზე იყოს. პარტბიუროომ დიდი მუშობა უნდა ჩაატაროს კომუნისტთა წინადადებების საფუძველზე საწარმოში ფასეულობათა ზუსტად ალრიცხვისა და საამქროებში სისუფთავის და წესრიგის დამყარებისათვის. ჯერ კიდევ არ არის დანერგილი რიტმიული მუშობა ცალკეულ საამქროებში, კვლავ ადგილი აქვს იერიშობანას.

ამავე დროს პარტბიუროს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ მან დღემდე ვერ დაუთმო სერიოზული ყურადღება პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშობის გაუმჯობესებას. საჭიროა აგრეთვე მეტი მუშობა პარტიული პროპაგანდისა და საგაზეთო მუშობის შემდგომი აღმავლობისათვის, რაც ჯერჯერობით არ სჩანს.

საგაზეთო დეპოს პარტბიუროომ გადაჭრით უნდა გაამეიერის მუშობა საანგარიში - საარჩევნო კრებაზე მიღებულ ღონისძიებათა შესრულებისათვის.

კ. ჯ. ოგბოლრჯგინიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1941 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით სკკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

სარადინ ამას ოღლი ვასანი, სკკ. კ. პ. (ბ) წევრი 1940 წლიდან, პარტბილეთი № 3721696 — როგორც მოკავშირადადებული ცილისწამებისათვის;

ილია კირილეს-ძე ბანდოლეკი, სკკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1261490—როგორც მოკავშირადადებული სამსახურებრივი მოგებამარეობის მორალური გამოფიტვისათვის; **ზალეკ ივანეს-ძე დოროკოშევი**, სკკ. კ. პ. (ბ) წევრი 1940 წლიდან, პარტბილეთი № 3307108 — კომკავშირელი ჭალისაფში არაკომუნისტური დამოკიდებულებისა და სისტემატური ლოთობისათვის; **ივანე პეტრეს-ძე ნივაკშენოო**, სკკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 3305906 — ყოფაცხოვრებითი გახარწილებისათვის.

პარტიული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის

ფოთი („კომუნისტის“ კორ.). ქალაქის 78 პირველადს პარტორგანიზაციაში ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. კრებებს დაესწრო პარტბილეთ 1.167 წევრი და პარტიის წევრობის 261 კანდიდატი, რაც ქალაქის პარტორგანიზაციის შემადგენლობის 92 პროცენტს შეადგენს. კრებებს არასაპატიო მიზეზით არ დასწრებია პარტიის 6 წევრი და 7 კანდიდატი.

საანგარიში - საარჩევნო კრებების მუშობაში კომუნისტები აქტიურად მონაწილეობდნენ. კამათში გამოვიდა 507 ამხანაგი.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები მომზადებულად და მაღალი პოლიტიკური აქტივობის, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა. კომუნისტები გამოდიოდნენ ამხელდნენ პარტორგანიზაციების მუშობაში არსებულ ნაკლოვანებებს და აყენებდნენ სათანადო პრაქტიკულ წინადადებებს შემდგომი მუშობის გაუმჯობესებისათვის.

პირველადს პარტორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების დროს კრებების ჩაშლას და ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნების ინსტრუქციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

78 პირველადი პარტორგანიზაციიდან ახალსოფლის კოლმეურნეობის, ჭალადიდის ტერტორიული და ფოთის საკოლმეურნეო სახლთან არსებული პარტორგანიზაციების მუშობა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა სუსტად სცნეს.

24 პირველად პარტორგანიზაციაში არჩეულია პარტბიუროები. პარტორგანიზაციების 78 მდივნიდან 42 ახლად არჩეულია. აქედან პირველად არჩეულია 29 ამხანაგი. პარტორგანიზაციების მდივნების 123 მოადგილიდან 74 ახლად არჩეულია, ხოლო 53 პირველად.

სკკ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი ატარებს ღონისძიებებს პარტორგანიზაციების ხელმძღვანელად არჩეულ ამხანაგებისადმი საჭირო დამხმარების გასაწევად. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ჩამოყალიბებულია პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და მდივნის მოადგილეების სემინარები. სემინარებზე დამუშავდება საკითხები: პარტიულ დოკუმენტების გაფორმება და აღრიცხვა პირველად პარტორგანიზაციებში, პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროების მუშობა, პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშობის საკითხები, საგაზეთო-საპრესგანყოფ მუშობის ხელმძღვანელობა, წარმოებაზე კონტროლის საკითხები და დაწესებულებათა პარტორგანიზაციების ფეხქვეშეობა, ნებაყოფლობითი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, პარტიაში მიღებისა და ახალშიგიანული შორის მუშობის საკითხები და სხვ.

პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და მათი მოადგილეების სემინარამ მუშობა დაიწყო. სემინარებზე ლექციებს კითხულობენ სკკ. კ. პ. (ბ) ქალაქომის მდივნები და განყოფილებათა გამგეები.

აბ. ნანეიშვილი

ფიზიკულტურის ინსტიტუტის კომუნისტთა კრებაზე

თბილისის ფიზიკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტბიუროს მდივანი ამხ. ფ. რამიშვილი.

მომხსენებელმა ვრცელად ილაპარაკა პარტიის რიგების ზრდაზე, ახალგაზრდა კომუნისტების ფეიერად აღზრდაზე, ინსტიტუტში აკადემიური წარმატებულობის მდგომარეობის, პარტიული პროპაგანდისა და სხვა საკითხებზე.

მოხსენების ბოლოს გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 6 ამხანაგებმა ს. ბატინიანმა, თ. კახიძემ, ვ. ხოვრიკემ, ა. ბაშლავამ, ა. კალანდაძემ, მ. მახნიაშვილმა, ა. ლორეიანიძემ და სხვ.

როგორც მოხსენებიდან, ისე კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო პერიოდში პარტბიუროომ სერიოზული მუშაობა გასწია „საკ.

კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების დასახმარებლად. ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა თეორიული ლექციები 19-ჯერ, ხოლო თეორიული კონფერენცია — 5-ჯერ. თეორიულ ლექციას დაესწრო 1.245 ამხანაგი, ხოლო თეორიულ კონფერენციას — 109. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ზოგიერთი ამხანაგი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს თეორიულ კონფერენციებში.

გამორკვა, რომ პარტბიუროო არასაკმაო მუშობდა პარტიის წევრობის კანდიდატებთან. გარდა ამისა, აღინიშნა ისიც, რომ ინსტიტუტში სუსტად მუშობენ ნებაყოფლობითი ორგანიზაციები.

პარტიულმა კრებამ პარტბიუროს განკლილი მუშობის დამაკმაყოფილებლად სცნო.

პარტბიუროს მდივნად აირჩიეს ამხ. დ. რამიშვილი.

ა. ბანუშრავა

ხაშური. პარტკაბინეტი. **სურათზე:** პარტკაბინეტის გამგე ამხ. კ. მესხი (ფეხა) დიალექტიკის ისტორიის ლეტ ერატურის ეუბნება სოფლისა ორგანიზაციების პარტბიუროს ახლად არჩეულ მდგომარეობა. ამხ. ი. გრიგოლიანს. ფოტო ნ. ეარონ ანოვისა (საქფოტოქრონიკა)

მ. დელბა

შესანიშნავი შრომა ბოლშევიზმის ისტორიაზე



ბარიკანი ამხ. ლ. პ. ბერიას შეგნისა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ აფაზურ ენაზე.

აფაზურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ამხანაგ ლ. ბერიას ცნობილი ნაშრომი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ამ წიგნმა, როგორც შესანიშნავმა მეცნიერულმა ნაშრომმა **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ისტორიაზე, ნამდვილი ისტორიული დოკუმენტების გულდასმით შესწავლის საფუძველზე შედგენილმა, ფასდაუდებელი სარგებლობა მოუტანა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს სკკ. კ. პ. (ბ) კმრიული ისტორიის შესწავლის საქმეში.

ამხ. ლ. ბერიას შესანიშნავი წიგნი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე და გადაიქცა უმნიშვნელოვანეს, უბადლო სახელმძღვანელოდ „სკკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლისათვის.

ამხ. ლ. ბერიამ ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში პირველად გვიჩვენა ღრმად ამხანაგ **სტალინის**, როგორც ბოლშევიზმის უდიდესი ბელადისა და მშენებლის, როგორც საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების შემქმნელის, ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, როგორც ლენინის ერთგული და შეუფერებელი თანამებრძოლის, როლის უდიდესი მნიშვნელობა.

ამხ. ლ. ბერია სიმართლით და ზმელი სისრულით გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი პრინციპული ბრძოლა ჩაატარეს ამხანაგმა **სტალინმა** და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა ალეკსანდრე ფოლუკიძემ და ლაფო კეტხოველმა „მესამე დასის“ შიგნით უმრავლესობის—ნოე ჟორდანიას „ჯგუფის წინააღმდეგ, თუ როგორ ყოველდღიურად ებრძოდნენ ისინი მუშათა კლასის მებრძოლი მარქსისტული, ბოლშევიკური თანამშრომელი და რევოლუციური პარტიის შექმნისათვის.

„ლეგალურ მარქსისტებთან“, მენშევიკებთან, ტროცკისტებთან, ანარქისტებთან და მუშათა კლასისა და გლეხობის სხვა უბოროტეს მტრებთან ულმობელ შეურეგებელ ბრძოლაში ამხანაგი სტალინი ლენინთან ერთად სჩედდა ახალი ტიპის პარტიას, ამზადებდა მას ბრძოლებისა და გამარჯვებებისათვის. ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა რუსეთში ერთიერთმა პირველებმა აღმართეს სოციალიზმის გამარჯვების სიმბოლოს ბრძოლის ბრძოლის ფრონტზე. ამ მხრივ ბოლშევიკური ფრონტზე. ამ ბრძოლა დამახასოთებელია ამხანაგ სტალინის ნაშრომები მარქსისტული „ფილოსოფიის დარგში.

დიდმა ლენინმა თავის გენიალურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი“ გამოაშკარავა და ულმობლად დანაგდგურა ბურჟუაზიის იდეოლოგები, რეაქციული ფილოსოფიის აპოლოგეტები და ყველა ისინი, ვინც მარქსიზმად ასაღებდა „რაღაც წარმოუდგენლად აბნეულს, არეულ-დარეულსა და რეაქციულს“ (ლენინი). ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი თავის ბრწყინვალე ფილოსოფიურ ნაშრომებში დაუნდობლად ანადგურებდა ჩვენი პარტიის მტრებს, ამჟღავნებდა მათს რეაქციულ ცრუ-თეორიულ „კონცეპციებს“, ლენინურად იცავდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა სიწმინდეს.

განსაკუთრებული რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ **სტალინის** ნაშრომს „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელიც დაწერილია 1913 წლის იანვარში ვენაში. ამხ. ლ. ბერია თავის ნაშრომში დაწერილებით გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის შრომებს ნაციონალურ საკითხზე და მის ბრძოლას ნაციონალ - უკლონისტთან.

ეტაპი ხნით უფრო გვიან ლენინი სწერს: „თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში საქმის ეს ვითარება და ს.-დ. ნაციონალური პროგრამის საფუძველი უკვე გაშემებული იყო უკანასკნელ დროს (პირველი ადგილი ამ უკაცია სტალინის სტატიას)“. **)

ამხ. ლ. ბერიას ნაშრომი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მან განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ბოლშევიზმის ისტორიის ყოველგვარი ფალსიფიკატორების გამოაშკარავების საქმეში. მან ნიღაბი ჩამოაგლიჯა ხალხის მტრებს, რომლებიც ბოლშევიზმის ისტორიასთა როლში გეგვლენებოდნენ, გამოაშკარავა ის ადამიანები, რომლებიც არაობიექტურად და არაკეთილსინდისიერად გადმოსცემდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების გმრიელი ბრძოლის ისტორიას.

თავის ისტორიულ ნაშრომში „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ ამხანაგმა **სტალინმა** დაგვისახა ამოცანა:

„...ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები აეიკვანონ სათანადო სიმაღლეზე, ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე დავაყენოთ მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე და გავამაჯილოთ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტ და ყველა სხვა ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ, სისტემატურად ჩამოგლეჯოთ მათ ნიღაბი“.

ამხ. ლ. ბერიას ნაშრომი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ სავსებით უპასუხებს ჩვენი პარტიის ბელადის — **დიდი სტალინის** მიერ დასახულ ამ მოთხოვნებს.

დასასრულ საჭიროა ხაზი გაეწვას, რომ ძნელია გადაჭრებით შეფასება იმ მნიშვნელობისა, რაც აფაზური მკითხველისათვის აქვს ბოლშევიზმის ისტორიაზე იმ შესანიშნავი შრომის აფაზურ ენაზე თარგმნის, რომელიც ნიადაგსახმარებელი წიგნი გახდა თვითეული კომუნისტისა, თვითეული მუშისა, კოლმეურნისა და საბჭოთა ინტელიგენტისათვის, ვინც **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის გმიერულ ისტორიას სწავლობს.

ლ. ბერიას წიგნი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ აფაზურ ენაზე სთარგმნა ამხ. მ. ხაშბამ. წიგნი დაბეჭდილია ალგ ჟალოდზე, მკაფიო შრიფტით, კარგად არის ილუსტრირებული და გაფორმებული.

*) ლენინი, ტ. XVI, გვ. 328.
**) ლენინი, ტ. XVII, გვ. 116.

*) ლ. პ. ბერია. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 58.

**) იქვე, გვ. 133.

ბოლშევიკის მორალური სახე

ლენინმა და სტალინმა შეჰქმნეს ბოლშევიკების პარტია. მათ აღზარდეს და გამოაწრთეს ბოლშევიკები, როგორც განსაკუთრებული ადამიანები, როგორც რევოლუციური პროლეტარული არმიის მებრძოლები. კომუნისტური პარტია — ეს არის ახალი ტიპის პარტია, მუშათა კლასის მოწინავე რაზმი. „ყველას როი შეუძლია იყოს ასეთი პარტიის წევრი. ყველას როდი შეუძლია აიტანოს ის გაჭირვება და ქარშალი, რომელიც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობასთან. მუშათა კლასის შვილები, გაჭირვებისა და ბრძოლის შვილები, უზომო შევიწროებათა და გმირულ თავდადებათა შვილები — აი ვინ უნდა იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, ასეთი პარტიის წევრები“ (სტალინი).

დიადი მიზანი — კომუნიზმი! — უნათებს ბოლშევიკს მთელ გზას. ეს მიზანი, რომელიც გამოიქმულია კომუნისტური პარტიის პროგრამაში, აღაფრთოვანებს ბოლშევიკებს თავგანწირულ შრომისათვის, გმირული ბრძოლისათვის. რა უჩინარ საქმესაც არ უნდა აკეთებდეს პარტიის წევრი თავის პოსტზე, — მშრომელთა განთავისუფლების დიად, მსოფლიო-ისტორიულ ამოცანებთან დაკავშირებით ამ საქმეს დიადი შინაარსი ეძლევა.

დიადი მიზნის ნათელი ცოდნიდან გამომდინარეობს ბოლშევიკის პრინციპულობა, მისი ხაზის სიმტკიცე. ლენინ-სტალინის პარტია გაიზარდა და გამობრძმედა ოპორტუნიზმის, წვრილბურჟუაზიულ ელემენტთა ქანაბისა და მერყეობის, უნიათო სკეპტიციზმის, დამპალი რწმენანაკლებობის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. ბოლშევიკი — ეს არის მტკიცე ადამიანი, განსაკუთრებული მასალისაგან გამოკეთილი. მიზნის სიცხადე, შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში, ხასიათის სიმტკიცე, თავდადებული სამსახური ხალხისადმი — აი ფუნქციის ყოველისა ერ ახასიათებს ბოლშევიკის სახელს. იგი იმათ რიცხვს როი ეკუთვნის, ვინც იმალება და ბუჩქებში მიძვრება. პარტია თავის ერთგულ შვილებს უნერგავს აქტივობას, შემტკიცებას, გამალებული ნებისყოფას. პარტია ალმძრავი ღვედების მეშვეობით, უპარტიო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით უნერგავს ამ თვისებებს მთელ ხალხს.

ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა შეჰქმნა ძლიერი საბჭოთა სახელმწიფო. ეს სახელმწიფო საამაყოა მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის. ბოლშევიკს ქეეყნიერებაზე არა აქვს უფრო ძვირფასი რამ, არა აქვს უფრო წმინდათა-წმინდა რამ, ვიდრე სამშობლო, რომელიც შეეტრასავით უნათებს მთელ მშრომელ კაცობრიობას. ბოლშევიკი პატრიოტია. **იგი** ინახავს ხსოვნას სამოქალაქო ომის გმირებზე, რომლებმაც თავისი სიცოცხლე გასწირეს, რათა მოესაპოთ სამშობლოს მტრები, როდესაც სამშობლო ჯერ კიდევ სუსტი იყო, როდესაც საბჭოთა ხალხი ის-ის იყო დადგა საკუთარ ფეხზე, მოიშორა რა მემამულეები და კაპიტალისტები. ახლა კი ბოლშევიკი მზად არის სამაკვდილო ლაბეანი ჩასცეს ყველას, ვინც ხელჩაყოფს საყვარელ სამშობლოს მასს სოციალისტური ძალოონის გაფურჩქვნის ყამს, ახალი კულტურის გაფურჩქვნის ყამს.

ბოლშევიკი ხალხის მსახურია. მთელი მისი ფიქრები თავს დასტრიალებს ხალხს, ხალხის ბედნიერებას. პარტია უნერგავს თავის შვილებს დიდ პატივისცემასა და სიყვარულს ხალხისადმი, როგორც ძალოონისა და შემოქმედების წყარონისადმი. ხალხთან ჭმელრო, განუყოფელ კავშირშია ბოლშევიკების პარტიისა და ყოველი ცალკეული ბოლშევიკის ძალა. ლენინისა და სტალინის უსაზღვრო რწმენამ მასების ისტორიული ინიციატივისადმი, მათი რევოლუციური შემოქმედებისადმი, წარმოშვა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაც, გამარჯვებანი სამოქალაქო ომშიც, ინტერვენტებთან ომში, და სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებებიც.

ბოლშევიკს მიჰყავს უპარტიოები. ეს არის მისი მოვალეობა, მისი ამოცანა. იგი აღაფრთოვანებს მათ თავისი პირადი მაგალითით. იგი ასწავლის მათ სქმით. ბოლშევიკის მეშვეობით, მისი შრომისა და მისი ცხოვრების მეშვეობით პარტია ანხორციელებს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას. ჩვენ ვამბობთ: ბოლშევიკური პირდაპირობა, ბოლშევიკის პატიოსნება... ეს პროლეტარული რევოლუციონერის მორალური სახის ის თვისებებია, რომლებიც მისდამი ნდობას უნერგავენ უპარტიოებს და მასების ხელმძღვანელად ხდიან მას.

უდიდესი მორალურ-პოლიტიკური კაპიტალი დაიგროვა ლენინ-სტალინის პარტიამ კომუნიზმისათვის ბრძოლის გზაზე. ბოლშევიკის ამოცანაა დაიცვას და ამრავლოს ეს კაპიტალი. მორალურ-პოლიტიკური სახე წარმოშობს ბოლშევიკის მომხიბვლელობას. ლენინის, კიროვის, სვერდლოვის, ორჯონიკიძის, ფრუნზეს და ბოლშევიკთა პარტიის სხვა მოღვაწეების სახეები ეზიდავენ მილიონებს ხალხს ერთგულ, ბრძენ და მტკიცე, უშიშარი რევოლუციონერის მომხიბლველობით. მამა, მასწავლებელი, მეგობარი — ასე უწოდებენ ამხანაგ სტალინს სსრ კავშირის და მთელი მსოფლიოს ხალხები. ეს არის ბოლშევიკური პირდაპირობის, ძლიერების, სიბრძნის, ხალხისადმი ერთგულების მომხიბლველობა.

სოციალისტურ შრომაშია საშობლოს საბრძოლო მზადყოფნის, მისი ძლიერების, კომუნიზმისაკენ მისი წინსვლის წყარო. აქ არის ბოლშევიკის ძალონის, მისი ბრძოლის, მისი გმირული გარჯის ძირითადი ასპარეზი. სკკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციამ მოაბრუნა პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მრეწველობისა და ტრანსპორტის საქმეებებსა და ინტერესებზე მაქსიმალური ზრუნვისაკენ. სოციალისტური მრეწველობა, ტრანსპორტი და სოციალისტური სოფლის მეურნეობა ამზადებენ და უზრუნველყოფენ გამარჯვებების ფრონტზე. წითელი არმიისათვის, საშველრო-საზღვაო ფლოტისათვის მუშათა იწყვება ქარხანაში, რკინიგზაზე, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე.

სოციალისტურ შრომაში ბოლშევიკი იჩენს აგრეთვე თავის — რევოლუციონერის მორალურ-პოლიტიკურ თვისებებს. მისი ადგილი პირველ რიგებშია. თუ უკან დარჩა, იგი ჰკარგავს ბოლშევიკურ თვისებებს. ამ შემოხვევაში ის ვერავის ვერ უძღვება. იგი კიდევ მისჩანჩალებს, ეს კი შეუთავსებელია პროლეტარული რევოლუციონერის სპატარი სახელწოდებასთან.

ბოლშევიკი რევოლუციონერია ყველაზე: ფრონტზე და ზურგში, ქარხანასა და კოლმეურნეობაში, აკადემიაში და დაზგასთან. როგორც რევოლუციონერი, იგი ოტტინის, დამყაყებული კონსერვატიზმის, ჯობის უძრაობის მტერია. მისთვის არ არსებობს „მშვიდობიანი“ ვითარება, ითმენ რომ მთელი ჩვენი წინსვლა რევოლუციური, საბრძოლო ძიძრაობაა.

რევოლუციური განსაბეზოდ იცავს ბოლშევიკს ბენეფაშეზოდ ფეხიანობისაგან, ზეხოვი ეშმაკრიზმისაგან. ბოლშევიკი კარგად ფლობს ინფორმაციას თავის საქმეს, იგი სავსებით აღჭურვილი სპეციალისტი უნდა იყოს თავის დარგში. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს მისი სპეციალობა, მას ყოველთვის ესაჭიროება მარქსისტულ-ლენინური შეიარაღება, როგორც თავისი საშობლოს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეს.

დისციპლინიანობა, ბეჯითობა, მკაფიობა სიტყვებსა და მოქმედებაში — ეს მცენებია ბოლშევიკისათვის. დაუდგენრობა და თავაშვებულობა, ლაყბობა, თავგასულობა ამხელს პარტიის წევრში ჯერ კიდევ აღმოუფხვრელ ფეოდალ-ბურჟუაზიულ თვისებებს.

ბოლშევიკი ყოველთვის სწავლობს. მისი მასწავლებლებია წიგნები, ლექციები, ცხოვრება. პრაქტიკული გამოცდილების, ცხოვრებაში გამოცდილების გარეშე

კრეტაზე წარმოებული სომარი მოქმედების გამო

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). ტაბმა გადმოგვცემს კიროში მყოფი ინგლისის სარდლობის წარმომაგენლის განცხადებას, რომელშიც ნათქვამია: როცა საბერძნეთის კამპანია დამთავრდა, ინგლისელებს კრეტაზე მხოლოდ 3 აეროდრომი ჰქონდათ, სადაც ჩატანილ იქნა ავიაგამანადგურებლები და ყუმბარმშენები. ეს აეროდრომები მალემსა, რეტიმნსა და ჰერაკლიონში მდებარეობდნენ. გერმანელებს კი თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ 7 თუ 8 საავიაციო ბაზა, საიდანაც შეეძლოთ სამი მხრიდან მიეტანათ იერიში კრეტაზე. გერმანელთა ყველაზე შორეული საავიაციო ბაზა ათენში იყო. ამ ბაზიდან კრეტამდე და კრეტიდან ბაზებამდე 400 მილზე ნაკლებია. გერმანელთა უპირველესი საავიაციო ბაზა იყო მალემსის კუნძულზე, რომელიც კრეტიდან სულ 90 მილზე მდებარეობს. ასეთ პირობებში ინგლისის სარდლობას არ შეეძლო გამოეყენებინა ავიაგამანადგურებლები, და იგი იძულებული იყო გიგიყენა ისინი ინგლისს უახლოეს საავიაციო ბაზაზე, დასავლეთ უდაბნოში, რომელიც კრეტიდან 400 მილზე მდებარეობს. ინგლისის „ჰარიკეინის" ტიპის ავიაგამანადგურებლთა მოქმედების ზღვრული რადიუსი 400 მილია. ამ ტიპის ზოგიერთი ავიაგამანადგურებელს აქვს სპეციალური დამატებითი ავზები. მაგრამ თვითმფრინავების ესოდენ დიდ მანძილზე ფრენა მიზანშეწონელი აღმოჩნდა, და ინგლისის სარდლობა იძულებულნი იყო ხელი აეღო გამანადგურებელი ავიაციის გამოყენებაზე. ბაზასამთო უნდა აოინიშნოს, რომ გერმანის ყუმბარმშენებს, რომლებიც კრეტაზე თავდასხმებში მონაწილეობდნენ, მრავალი ავიაგამანადგურებელი ახლდათ თან. როცა ინგლისის ავიაცია თავს ესხმოდა გერმანიის ბაზებს, ეს თავდასხმები წარმატებით მთავრდებოდა, და ინგლისელი მფრინავები გერმანის მრავალ მანქანას სპობდნენ. მაგრამ გერმანის ავიაციის რიცხვობრივ სიჭარბეს არ შეეძლო უარყოფითი გავლენა კი მოეხდინა. უკვე 12 მაისს გერმანელებმა თავიანთი თითმფრინავების თავმოყრა იწყეს მათს განკარგულებაში არსებული ყველა აეროდრომზე. რა თქმა უნდა, ინგლისის ავიაცია ყუმბარას უშენდა ამ შეჯავშნულ თვითმფრინავებს, მაგრამ ავიაგამანადგურებლთა მხრივ სათანადო დამპრალის გაუწევლობა ამგვარი ოპერაციების დღისით განხორციელებას შეეძლებელს ხდიდა. ამის გამო ინგლისის ავიაცია იძულებულთა იყო გერმანელთა ბაზების წინააღმდეგ ხშირად ღამით მხოლოდ ღამით ემოქმედნა.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო კრეტის კუნძულზე წარმოებული ოპერაციების შესახებ

ბერლინი, 1 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, გუშინ, იერიპლების მახლობლად გერმანიანი და იტალიის ჯარის ნაწილების შეერთების შემდეგ, კრეტის კუნძულზე ბრძოლა დამთავრდა. ინგლისელები ცდილობდნენ ირაკლიტრიდან პატარა გემებით წასულიყვნენ. მაგრამ ამ პუნქტის ოკუპაციამ ხელი შეუშალა ინგლისელთა გეგმის შესრულებას. პორა-სფაქსონის მახლობლად, კრეტის სამხრეთ სანაპიროს დასავლეთ ნაწილში, საერკაჟიციოდ გამზადებული ინგლისის ჯარი გერმანელ ოკუპანტებს ებრძოლა, რომლის დროს გაჩნდა ოცი ტანკი. ინგლისელ ოფიცერ-ტანკისტებს ბრძოლა ბრძოლა ბრძოლა ბრძოლა ... ...